



# საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების პარამუნიციპალიტეტული პროვინული კომისია

## გ ა ღ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა N40/2

2019 წლის 28 მაისი

ქ. თბილისი

**შპს „აისის“ დირექტორის ა. მახარაძის განცხადებაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის განსაზღვრის შესახებ**

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა შპს „აისის“ დირექტორის ა. მახარაძის შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიმართ (№5383/01. 23.05.2019) განცხადებების თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის ვადის განსაზღვრის საკითხი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვილოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთმეჯერების საფუძველზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასახელებულ განცხადებებთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოსაცემად და საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისათვის საჭიროა განცხადებათა დასაბუთებულობის შემოწმებისათვის საჭირო დოკუმენტებისა და სხვა მტკიცებულებების შესაბამისი უწყებებიდან გამოთხოვა, გამოკვლევა და შეფასება, რაც დამატებით დროს მოითხოვს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისათვის აუცილებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად კანონმდებლობით გათვალისწინებულზე მეტი ვადა, ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისას გამოაქვს გადაწყვეტილება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის განსაზღვრის შესახებ. ამავ მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს სამ თვეს.

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5

მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლისა და კომისიის 2017 წლის 29 დეკემბრის N54 დადგენილებით დამტკიცებული „სადავო საკითხების განხილვის პროცედურული წესების“ მე-14 მუხლის საფუძველზე, კომისიამ

**გ ა დ ა წ ვ ე ტ ა :**

1. შპს „აისის“ დირექტორის ა. მახარაძის შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიმართ (№5383/01. 23.05.2019) განცხადების თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს 2019 წლის 28 აგვისტო.
2. გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ ეცნობოს განცხადების წარმდგენ პირს.
3. გადაწყვეტილება ძალაშია მისი მიღების დღიდან.
4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N 6) მისი მიღებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

ირინა მილორავა

კომისიის თავმჯდომარე

გიორგი ფანგანი

კომისიის წევრი

გოჩა შონია

კომისიის წევრი

დავით ნარმანია

კომისიის წევრი

